**ალექსანდრე ახმეტელის პირადი საარქივო ფონდი**

**ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა**

1. ალექსანდრე ახმეტელისა და ანასტასია როსტომაშვილის ქორწინების მოწმობა.
1908 წ. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. 1918 წლის 23 ივნისს შედგენილი აქტი სახ. თეატრში კონცერტის შემდეგ სალაროს კარზე შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.
1918 წ. 23 ივნისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი – ალ. წუწუნავა. ალ. ახმეტელი, დ. ჩარუევი. მწვანე მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

3. საქართველოს პარლამენტის ხელოვნების კომისრის თხოვნა, სახელმწიფო თეატრის კომისარ – ალ. წუწუნავასადმი. ხელოვნების კომისრის დადგენილებით, დაევალოს ალ. ახმეტელს მოელაპარაკოს შინაგან საქმეთა მინისტრს და სახელმწიფო თეატრის კომისარს ა. წუწუნავას, თბილისის დრამატული საზოგადოების შესახებ.
1918 წ. 15 ოქტომბერი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: თავმჯდომარის მაგივრად – ალ. ახმეტელი. მდივნის მაგივრად – პ. ლეჟავა. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

4. ხელოვნების კომისიის თხოვნა სახელმწიფო თეატრის კომისარ – ალ. წუწუნავასადმი, ქუთაისის დრამატული საზოგადოებისთვის ფინანსური დახმარების შესახებ.
1918 წ. 15 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს: თავმჯდომარის მოადგილე – ალ. ახმეტელი. მდივნის მაგივრად – პ. ლეჟავა. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

5. ალ. ახმეტელის განცხადება რუსთაველის თეატრის გამგისადმი პიესაში „სალომე“, ბეგთაბეგოვთან ერთად საბალეტო დადგმების ერთობლივად დამუშავებასთან დაკავშირებით.
1923 წ. 6 მარტი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: კ. მარჯანიშვილი. ალ. ახმეტელი. 1 გვ.

6. ალ. ახმეტელის განცხადება ფულადი დახმარების შესახებ.
1923 წ. 14 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გაცემული ცნობა, სახელმწიფო აკადემიურ თეატრის დირექციისადმი, ქართული დრამის რეჟისორ ალ. ახმეტელისადმი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დადგმისათვის 250 მანეთის გადაცემასთან დაკავშირებით.
1924 წ. 12, 16, 17 მაისი. ნაბეჭდი. მასალას ერთვის ღოღობერიძისა და შ. ელიავას დადებითი რეზოლუციები.
1 გვ.

8. ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭოს მიერ გაცემული ბრძანება, რუსთაველის თეატრისა და ქართულ აკადემიურ დრამის საერთო რეორგანიზაციისა და ხარჯების შემცირების შესახებ. [მითითებული რეჟისორთა და მსახიობთა გვარები, რომლებსაც ხელფასი შეუნარჩუნდათ: სამხ. ნაწ. გამგე – კ. მარჯანიშვილი, მთ. რეჟისორი – ალ. ახმეტელი, მორიგე რეჟისორი – დ. ანთაძე, კომპოზიტორი – ი. ტუსკია, მოკარნახე – პ. ჟორდანია; მსახიობები: ვ. ანჯაფარიძე, ელ. დონაური, თ. ჭავჭავაძე, ნ. ჯავახიშვილი, სახ. არტისტი – ნ. გოცირიძე, გ. დავითაშვილი, აკ. ვასაძე, პ. კორიშელი, ალ. ჟორჟოლიანი, შ. ღამბაშიძე, უშ. ჩხეიძე, აკ. ხორავა]
1926 წ. 17 ივლისი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

9. შ. რუსთაველის სახ. თეატრის დადგენილება კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელს, კერძოდ კორპორაცია - „დურუჯს“ შორის მომხდარ უთანხმოებასთან დაკავშირებით.
პირი: ლ. ღოღობერიძე. ზ. ბერიშვილი. პ. კორიშელი.
1926 წ. 5 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

10. განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ბრძანება, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგე ალ. ახმეტელის საქართველოს საბჭოთა ყრილობის მიმდინარეობის დროს, სამხატვრო საღამოებისა და წარმოდგენების მთავარ ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ.
1927 წ. 10 მარტი. ნაბეჭდი. 1 გვ.

11. რუსთაველის თეატრის მუშაობის გამომკვლეველი კომისიის ოქმი, რუსთაველის თეატრის მუშაობის „ნამდვილი მდგომარეობის“ შესწავლის შესახებ.
პირი: დ. კანდელაკი. მამულია. თოხაძე. მიქაძე. ხვედელიძე. დიასამიძე. ალ. ჟორჟოლიანი. უშ. ჩხეიძე. თ. ჭავჭავაძე. კ. მარჯანიშვილი. მესხიშვილი. აკ. ხორავა. დ. ანთაძე. კ. პატარიძე. ქანთარია. ჩხარტიშვილი. შ. ღამბაშიძე. წერეთელი. აკ. ვასაძე. ალ. იმედაშვილი. გელოვანი. კანდელაკი. აბაშიძე. გველესიანი. კორიშელი. მიხ. ლორთქიფანიძე. დავითაშვილი. მიხ. ქორელი. ირ. გამრეკელი. გოცირიძე. თ. ბაქრაძე. ბოკერია. მჟავია. ვ. ანჯაფარიძე. თ. წულუკიძე. იაშვილი. ვ. გოძიაშვილი.
1928 წ. 25 აპრილი. ნაბეჭდი. არასრული. 16 გვ.

12. რუსთაველის თეატრის მსახიობთა და მუშა-მომსახურეთა საერთო კრების ჩანაწერი, კ. მარჯანიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. (სიტყვით გამოვიდა რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი – ალ. ახმეტელი).
1933 წ. 18 აპრილი. ნაბეჭდი. 2 გვ.

13. საქართველოს „ცაკის“ პრეზიდიუმის უკანასკნელი დადგენილების თანახმად გაცემული ცნობა, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელ – ალ. ახმეტელს, რეჟისორ – ალ. წუწუნავასა და კომპოზიტორ – მ. ბალანჩივაძისადმი სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1933 წ. 20 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: სახ. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკის საქ. მმართველი – დიასამიძე.
1 გვ.

14. 1933 წელს ლენინგრადში გამართული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რუსთაველის სახელმწიფო თეატრის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრად აღიარების შესახებ. სიტყვით გამოვიდა შ. რუსთაველის სახ. თეატრის მმართველი – ალ. ახმეტელი. აგრეთვე აბაევი, მალცევი, ვსევოლოჟსკი, მარტინოლი.
1933 წ. ლენინგრადი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 53 გვ.

14. სანახაობათა და რესპ. მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე – გ. მდივანის მოხსენებითი ბარათი, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ – ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგე გოგიბაშვილისადმი, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელ ალ. ახმეტელის მიერ მიმდინარე რეპერტუარის წარდგენის შესახებ.
1935 წ. 15 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: სანახაობათა და რესპ. მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე – გ. მდივანი. 1გვ
1 გვ.

15. საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორ გ. ბუხნიკაშვილის მიერ გაცემული ცნობა რეჟისორ ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
1955 წ. 22 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

16. საქ. სახელმწიფო ცენტრალური არქივის მიერ გაცემული ცნობა ალ. ახმეტელის საქართველოს სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1956 წ. 23 აპრილი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

17. შ. რუსთაველის თეატრის მიერ გაცემული ცნობა, სოცუზრუნველყოფის სამინისტროში წარსადგენად, ალ. ახმეტელის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ.
1956 წ. 24 აპრილი. ნაბეჭდი. 1 გვ.

18. საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გაცემული ცნობა ალ. ახმეტელის რეაბილიტაციის შესახებ.
1956 წ. 26 აპრილი. მოსკოვი. ნაბეჭდი. მასალა დამოწმებულია თბილისის იუსტიციის სამინისტროს ბეჭდით. 1 გვ. 2 ეგზ.

19. საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული ცნობა ალ. ახმეტელის ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ.
1956 წ. 6 ივნისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

20. თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მიერ გაცემული ცნობა, ალ. ახმეტელისათვის რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ (1933 წ. 20 დეკემბერი).
1956 წ. 24 ივნისი. თბილისი. ხელნაწერი. ასლი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

21. საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული ცნობა, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში წარსადგენად, ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ. (ჩასწორებული სათეატრო მუზეუმის დირექტორ გ. ბუხნიკაშვილის მიერ).
1956 წ. 6 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: სათეატრო მუზეუმის დირექტორი – გ. ბუხნიკაშვილი. არქივის გამგე – ნ. ელიაშვილი.
3 გვ.

22. ალ. ახმეტელის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. მასალა მოწოდებულია შალვა ახმეტელის მიერ.
1956 წ. ნაბეჭდი. 5 გვ. 3 ეგზ.

23. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ანასტასია როსტომაშვილი-ახმეტელისა და დაპატიმრებამდე მეუღლე ალ. ახმეტელის თანაცხოვრების შესახებ. სახალხო მოსამართლე – მაისურაძე. სახალხო მსაჯულები – ახალაძე, ისაკაძე. მდივანი – ამაშუკელი.
1958 წ. 26 მაისი. ხელნაწერი. ასლი. 1 გვ.

24. ცენტრალური სახელმწიფო არქივის მიერ გაცემული ცნობა ალ. ახმეტელის ცაკის მეხუთე მოწვევის წევრად, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ცაკის წევრად არჩევის შესახებ (1929-1931 წწ.).
1961 წ. 10 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

25. საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული ცნობა ალ. ახმეტელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1961 წ. 8 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: სათეატრო მუზეუმის სწავლული მდივანი – ქ. ჩხიკვაძე. 1 გვ.

26. საქართველოს კულტურის მინისტრის თ. ბუაჩიძის მიმართვა საქ. ცენტრალური კომიტეტის მდივან დ. სტურუასადმი, ალ. ახმეტელის დაბადებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების შესახებ.
1963 წ. 6 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. 2 გვ.

27. საქართველოს კულტურის სამინისტროს მიმართვა საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორ – გ. ბუხნიკაშვილისადმი, რეჟისორ – ალ. ახმეტელის დაბადებიდან 90 წლისთავის საიუბილეო კომისიის დადგენილებით, რუსთაველის თეატრთან ერთად საიუბილეო გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით.
1978 წ. 10 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

28. საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ალ. ახმეტელის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა.
1987 წ. 14 იანვარი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. 4 ეგზ.

29. საქართველოს სათეატრო მუზეუმში დაცული მასალის სია ალ. ახმეტელის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 გვ.

30. ალ. ახმეტელის დახასიათება.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

31. ალ. ახმეტელის იუბილესადმი მიძღვნილი საღამოს სცენარი.
უთარიღო. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 16 გვ.

32. ალ. ახმეტელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის თემატური გეგმა.
უთარიღო. ნაბეჭდი. 5 გვ.

33. ალ. ახმეტელის 100 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიების პროექტი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 3 გვ.

### შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

34. ალ. ახმეტელის სტატია – „მოსკოვის სამხატვრო თეატრის“ შესახებ.
1914 წ. 7 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 8 გვ.

35. ალ. ახმეტელი – „მასალები რუსთაველის თეატრის ისტორიისათვის“. 1920-1921წწ.
1920-21წწ. ავტოგრაფის ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 18 გვ. 2 ეგზ.

36. რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სარეპეტიციო ჩანაწერები სპექტაკლისა – „გააზნაურებული მდაბიონი“, 1923 წლის 13 ივლისი – 1924 წლის 2 იანვარი. რეჟისორები: კ. მარჯანიშვილი. ალ. ახმეტელი. მხატვარი – ნ. უშინი.
1923 წ. 13 ივლისი – 1924 წ. 2 იანვარი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 34 გვ.

37. ალ. ახმეტელის სტატია რუსთაველის თეატრის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულისათვის.
1934 წ. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 4 გვ. 2 ეგზ.

38. ნაწყვეტი ამოღებული ალ. ახმეტელის დასკვნითი სიტყვიდან, რომელიც წარმოთქვა 1930 წლის 21 ივნისს კომუნისტურ აკადემიაში ოლიმპიადისადმი მიძღვნილ თეატრალური სექციის პლენარულ სხდომაზე.
პირი: კ. მარჯანიშვილი. უ. ჩხეიძე.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

39. ალ. ახმეტელის ჩანაწერი პირობითი რეფლექსის შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

### ეპისტოლარული მემკვიდრეობა
### ალ. ახმეტელის წერილები

40. ალ. ახმეტელის წერილი თელავის საზოგადო მოღვაწე ვანო პაატაშვილისადმი, თელავში გაზეთ – „სახალხო გაზეთის“ სისტემატურად მოწოდებასთან დაკავშირებით. (წერილი ამოწერილია თელავის ისტორიული ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივიდან. საქ. № 3. ფ. 5)
1917 წ. ხელნაწერი. მელანი. ასლი. 1 გვ.

41. ალ. ახმეტელის წერილი ჯუნასა და მეუღლე ანასტასიასადმი (ტასო) ფულის მიღებასა და მათ საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით.
1924 წ. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

42. ალ. ახმეტელის წერილი ვაჟიშვილ შალიკოსადმი, ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით. (წერილს მიწერილი აქვს ტ. როსტომაშვილის მიერ – „1925 თუ 26 წ. მგონი აბასთუმანში ვართ“)
1925 ან 26 წ. 18 აგვისტო. აბასთუმანი. ავტოგრაფი. მწვანე მელანი. 4 გვ.

43. ალ. ახმეტელის წერილი ან. გლებოვისადმი, თბილისში მისი პიესით „Загмук“- სეზონის გახსნასთან დაკავშირებით.
პირი: ირ. გამრეკელი (მხატვარი). ი. ტუსკია (კომპოზიტორი). აკ. ვასაძე. თ. ჭავჭავაძე. თ. წულუკიძე. აკ. ხორავა. მიხ. ლორთქიფანიძე. შ. ღამბაშიძე. ალ. ჟორჟოლიანი.
1926 წ. 10 ოქტომბერი. ხელნაწერის ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 4 გვ. 3 ეგზ.

44. ალ. ახმეტელის წერილი ან. გლებოვისადმი სპექტაკლის – „Загмук“ განათების შესახებ.
1926 წ. 15 დეკემბერი. ავტოგრაფის ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 4 გვ. 3 ეგზ.

45. ალ. ახმეტელის წერილი ი. მიკიტენკოსადმი, რუსთაველის თეატრის საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ.
1903 წ. 5 დეკემბერი. თბილისი. ავტოგრაფის ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

46. ალ. ახმეტელის წერილი ანატოლი გლებოვისადმი, სერგო ამაღლობელის მცდარი თეატრალური მოღვაწეობის შესახებ.
1931 წ. ავტოგრაფის ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 4 გვ. 3 ეგზ.

47. ალ. ახმეტელის ჩანაწერი – „რუსთაველის თეატრის რეპერტუარი ათი წლის განმავლობაში“ 1920-1930 წწ.
1931 წ. ავტოგრაფის ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 10 გვ. 2 ეგზ.

48. ალ. ახმეტელის წერილი ანატოლი გლებოვისადმი, ცკ-ას მიერ დადგენილ, II სახელმწიფო თეატრის დახურვისა და ამასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.
1932 წ. 11 მაისი. თბილისი. ავტოგრაფის ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 4 გვ. 3 ეგზ.

49. ალ. ახმეტელის წერილი ან. გლებოვისადმი, სპექტაკლის „განგაში“ წარმატებულ პრემიერასთან დაკავშირებით. აგრეთვე რუსთაველის თეატრში დასრულებული რემონტის შესახებ.
პირი: ს. ამაღლობელი.
1932 წ. ავტოგრაფის ფოტოასლი. (მასალას ერთვის ე. დავითაისას მოკვლევა წერილთან დაკავშირებით. 1973 წ. 6 ოქოტმბერი. 1 გვ) რუსულ ენაზე. 24 გვ. 3 ეგზ.

50. ალ. ახმეტელის წერილი დავით კიღურაძისადმი დეკადაზე რუსთაველის თეატრის წარმატებასა და საზღვარგარეთ საგასტროლოდ მიწვევასთან დაკავშირებით.
1933 წ. 28 აპრილი. ავტოგრაფის ფოტოასლი. 2 გვ.

51. ალ. ახმეტელის წერილი ან. გლებოვისადმი, მისი პიესების რუსთაველის თეატრში დადგმასთან დაკავშირებით.
პირი: აკ. ვასაძე.
1934 წ. 2 დეკემბერი. ავტოგრაფის ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 8 გვ. 3 ეგზ.

52. ალ. ახმეტელის პირადი ხასიათის წერილი პეტერბურგიდან თამროსადმი (?).
პირი: ტასო (როსტომაშვილი). შალიკო (ვაჟიშვილი). ვანო მამო. პაბლო (?). გაბრო (?).
ტოპონიმი: ანაგა. პეტერბურგი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

53. ალ. ახმეტელის წერილი კ. მარჯანიშვილისადმი მისი თეატრიდან წასვლასთან დაკავშირებით.
[1962 წ.] ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

54. ალ. ახმეტელის წერილი კ. მარჯანიშვილისადმი, რუსთაველის თეატრში რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. ასლი. 2 გვ.

### წერილები ალ. ახმეტელისადმი

55. ბაბუცა გამრეკელის და მარგალიტა ციციშვილის წერილი ალ. ახმეტელისადმი წარმატებული სეზონის დამთავრებასთან დაკავშირებით. (წერილს ერთვის ტ. როსტომაშვილის მინაწერი)
1924 წ. 25 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

56. პაოლო იაშვილის წერილი ალ. ახმეტელისადმი კორპორაციაში „დურუჯი“, შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.
პირი: კ. მარჯანიშვილი.
1927 წ. 2 იავნარი. ნაბეჭდი. 3 გვ. 2 ეგზ.

57. ან. გლებოვის წერილი ალ. ახმეტელისადმი, კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით სახ. დრამატული თეატრის მოსკოვში გასტროლების მიმდინარეობაზე, აგრეთვე მომავალი ოლიმპიადის ჩასატარებლად სხვადასხვა შექმნილ წინააღმდეგობების შესახებ.
პირი: კ. მარჯანიშვილი. ს. ამაღლობელი.
1930 წ. 11 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 3 გვ. 2 ეგზ.

58. ჰედი ფლენგენის წერილი ალ. ახმეტელისადმი ნიუ-იორკში რუსთაველის თეატრის საგასტროლოდ მოწვევასთან დაკავშირებით.
1930 წ. 18 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. ინგლისურ ენაზე. (მასალას ერთვის თარგმანი ქართულ ენაზე). ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ.

59. ანატოლი გლებოვის წერილი ალ. ახმეტელისადმი „რაპის" თეატრალურ შეკრება-თათბირზე სერგო ამაღლობელისა და სხვა კომპეტენტური პირების გამოსვლასთან დაკავშირებით.
1931 წ. 18 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ. 2 ეგზ.

60. ან. გლებოვის წერილი ალ. ახმეტელისადმი, სერგო ამაღლობელის მიერ დ.ს.ე-ის თეატრალური განყოფილების არასრულფასოვნად ხელმძღვანელობის შესახებ. აგრეთვე მომავალ გეგმებთან დაკავშირებით.
პირი: პანფეროვი. სერაფიმოვი. სტავსკი. ბეზიმენსკი. მეიერხოლდი.
1931 წ. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 4 გვ. 2 ეგზ.

61. ან. გლებოვის წერილი ალ. ახმეტელისადმი, მოსკოვში რუსთაველის თეატრის სამომავლოდ გასტროლებზე ჩასვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე ს. ამაღლობელის ცუდ დამოკიდებულებას ალ. ახმეტელის მიმართ.
1932 წ. 15 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

62. ან. გლებოვის წერილი ალ. ახმეტელისადმი, რუსთაველის თეატრის საიუბილეო კრებულისთვის სტატიის შერჩევასთან დაკავშირებით, აგრეთვე მოსკოვში მიმდინარე სპექტაკლების შესახებ.
პირი: ნ. პერშინი. ამაღლობელი. ბურნოვი. სტეცკოვი. მეიერხოლდი. ოსინსკი. სულცი. ი. ზავაცკი. ოხლოპკოვი. ტაიროვი.
1934 წ. 30 აპრილი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 8 გვ.

63. აკ. ხორავას წერილი ალ. ახმეტელისადმი, მადლობას სწირავს გვერდში დგომისათვის, დახმარებისათვის და იმ საუკეთესო დამოკიდებულებისთვის, რომელსაც ალ. ახმეტელი მისდამი გამოხატავს. (წერილს ერთვის ფოტოასლი, აკლია I ფურცელი)
1934 წ. 14 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 4 გვ.
64. ალ. ახმეტელის პირადი ხასიათის ღია ბარათი მეუღლე ანასტასია (ტასო) როსტომაშვილისადმი.
პირი: შალიკო (ვაჟიშვილი), სერგეი.
1909 წ. 20 აგვისტო. ავტოგრაფი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

## ღია ბარათები

65. ალ. ახმეტელის პირადი ხასიათის ღია ბარათი მეუღლე ანასტასია (ტასო) როსტომაშვილისადმი.
პირი: სერგეი.
1909 წ. მოსკოვი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

66. ალ. ახმეტელის პირადი ხასიათის ღია ბარათი მეუღლე ანასტასია (ტასო) როსტომაშვილისადმი.
პირი: შალიკო (ვაჟიშვილი).
1909 წ. კოზლოვი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

67. ალ. ახმეტელის პირადი ხასიათის ღია ბარათი მეუღლე ანასტასია (ტასო) როსტომაშვილისადმი.
პირი: შალიკო (ვაჟიშვილი).
1909 წ. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

68. ნიკო როსტომაშვილის ღია ბარათი ალ. ახმეტელისადმი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

## ალ. ახმეტელის მოგონებები და ჩანაწერები

69. ალექსანდრე ახმეტელის მოგონება შალიკოს (შვილის) დაბადებასთან დაკავშირებით. (ამოწერილი ტასო როსტომაშვილის მიერ)
1905 წ. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 გვ.

70. ალექსანდრე ახმეტელის მოგონება ს. კიროვზე, ორჯონიკიძესა და სტალინზე. იგონებს მოსკოვის მცირე თეატრში რუსთაველის თეატრის გასტროლებს, სტალინისა და კიროვის დასწრებას სპექტაკლ „ლამარასა“ და „ანზორიზე“.
1930 წ. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 12 გვ.

71. ალ. ახმეტელის ჩანაწერი მსახიობ რადოლინის ალბომში. (კალკაზე გადახაზული)
1935 წ. 3 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ. 2 ეგზ. მასალას ერთვის ფოტოასლი.

## მოგონებები, სტატიები და სცენარები ალ. ახმეტელის შესახებ

72. ანატოლი გლებოვის სტატა ალ. ახმეტელის შესახებ – „Яркий талант“.
1958 წ. იანვარი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 13 გვ. 2 ეგზ.

73. თეატრალური კრიტიკოსის კონსტანტინე ფელდმანის სტატია ალ. ახმეტელის დაბადებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით. („Неистовый художник“). ავტორისეული ჩასწორებებით.
1961 წ. 31 მაისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. 7 გვ. 2 ეგზ.

74. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტ – დონელის მოგონება ალ. ახმეტელის შესახებ.
1967 წ. 3 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.

75. მაქსიმე მიქაძის მოგონება ალ. ახმეტელის შესახებ.
1967 წ. 5 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 3 გვ.

76. მიხეილ ყვარელაშვილის ერთ ნაწილიანი ლიტერატურული დოკუმენტური ფილმის სცენარი – „გზა უკვდავებისკენ” ალ. ახმეტელის შესახებ. (I და II ვარიანტი)
1970 წ. 15 მაისი. ნაბეჭდი. 17 გვ.

77. მ. ხუციშვილის მოგონება ალ. ახმეტელის შესახებ – „იუბილარის დიდი გუმანისტის, ალ. ახმეტელის დაბადების 80 წლის თავზე. „(სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.შ. რუსთაველი)“.
უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

78. თევზაძის მოგონება ალ. ახმეტელის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

79. მაქსიმე მიქაძის მოგონება ალ. ახმეტელის სპექტაკლების: „ლამარა“ და „ანზორის“ შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.

80. შ. გელიკაშვილის მოგონება ალ. ახმეტელის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.

81. დიმიტრი შოსტაკოვიჩის სტატია ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
პირი: ვ. მეიერხოლდი. კ. სტანისლავსკი. ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

## ალ. ახმეტელისადმი მიძღვნილი ლექსები

82. შალვა ამისულაშვილის ლექსი მიძღვნილი ალ. ახმეტელისადმი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ. 2 ეგზ.

83. ირაკლი შერაზადაშვილის ლექსი მიძღვნილი ალ. ახმეტელისადმი.
1957 წ. 15 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. ნაბეჭდი. 2 გვ.

## პროგრამები

84. სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო კლასის პირველი საჩვენებელი წარმოდგენის პროგრამა. I) „მეფის საცოლე“, II) „ფაუსტი“, III) „სევილიელი დალაქი“, IV) „პიკის ქალი“, V) „თქმულება შოთა რუსთაველზე“.
რეჟისორი – ალ. ახმეტელი.
დირიჟორი – ი. ფალიაშვილი.
1927 წ. 12 ივლისი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

85. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის პროგრამა – „რღვევა“ (ბ. ლავრენევი). აღდგენილი ალ. ახმეტელის რეაბილიტაციის შემდეგ.
სპექტაკლი აღადგინა – აკ. ვასაძემ.
მხატვარი – ირ. გამრეკელი.
კომპოზიტორი – ი. ტუსკია.
(მინაწერი ფანქრით და მელნით ქართულ და რუსულ ენებზე)
1956 წ. 1 მაისი. დასტამბული. 2 ც.

86. ალექსანდრე ახმეტელის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის პროგრამა.
1978 წ. 17 აპრილი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

## მოსაწვევი ბარათები

87. მოსკოვის ოლიმპიადაზე (1930 წ.) გამართული რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლისა და ლექციის მოსაწვევი ბარათი.
1930 წ. 17 ივნისი. დასტამბული. რუსულ და ფრანგულ ენებზე. 2 ც.

88. მოსკოვის ოლიმპიადაზე (1930 წ.), გამართული სპექტაკლისა და ლექციის მოსაწვევი ბარათი. მომხსენებელი – ალ. ახმეტელი.
1930 წ. 21 ივნისი. დასტამბული. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 1 ც.

89. შ. რუსთაველის სახ. სახელწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარებული საიუბილეო ზეიმის მოსაწვევი ბარათი.
1934 წ. 14 აპრილი. დასტამბული. 1 ც.

90. ალ. ახმეტელის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი. (სარეკლამო ფურცელი).
1966 წ. დასტამბული. 1 ც.

91. შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული, ალ. ახმეტელის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1967 წ. 24 აპრილი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 ც.

92. ალ. ახმეტელის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოსაწვევი ბარათი.
1978 წ. 19 აპრილი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

93. შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული რეჟისორ ალ. ახმეტელის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1987 წ. 14 იანვარი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

94. ალ. ახმეტელის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოსაწვევი ბარათი. (სარეკლამო ფურცელი).
უთარიღო. დასტამბული. 1 ც. 2 ეგზ.

## დეპეშა

95. ალავიძისა და ნინიძის დეპეშა ალ. ახმეტელისა და თანიაშვილისადმი, სამტრედიაში ჩასვლასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 ც.

## სხვადასხვა

96. თბილისის სახელმწიფო თეატრის კომისრის – ალ. წუწუნავას წერილი დრამატული საზოგადოების მთავარ რეჟისრო – გ. ჯაბადარისადმი, მსახიობთა „ჯამაგირზე" მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.
მითითებულია მსახიობთა სია: 1) აბაზაძე, 2) ამირეჯიბი, 3) ანჯაფარიძე, 4) გამრეკელი, 5) მჭედლიშვილი, 6) ქიქოძე ან. 7) ქიქოძე ალ. 8) ჩიქვინიძე, 9) ციმაკურიძე, 10) ჯავაშვილი, 11) ღოღობერიძე, 12) არაბიძე, 13) აღრაბაძე, 14) ვასაძე, 15) ზარდალიშვილი, 16) იმხნელი, 17) მჟავია, 18) სარჩიმელიძე, 19) ცინაძე, 20) გელოვანი, 21) ჭიაურელი, 22) ხერხეულიძე, 23) ჯიქია, 24) ლორთქიფანიძე, 25) კობახიძე, 26) შათირიშვილი, 27) გურული.
1918 წ. 26 ოქტომბერი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

97. საშა გველესიანის წერილი შაქრო საფაროვასადმი, თეატრალური რეკვიზიტის (სანდლები) წარმოდგენისთვის თხოვებასთან დაკავშირებით.
პირი: ჭიაურელი (მიხეილ), ახმეტელი (ალექსანდრე).
1920 წ. 9 დეკემბერი. ხელნაწერი. მწვანე მელანი. 1 გვ.

98. კონსტანტინე გამსახურდიას მიმართვა კორპორაცია „დურუჯისადმი", მოხსენებაზე მიწვევასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების შესახებ.
1924 წ. 3 აპრილი. ტფილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

99. კორპორაცია „დურუჯის" წევრთა წერილი კოტე მარჯანიშვილისადმი, კორპორაციაში დაბრუნებასთან დაკავშირებით. მითითებულია კორპორანტთა სია შემდეგი შემადგენლობით: შ. ღამბაშიძე, დ. მჟავია, დ. ანთაძე, ალ. გველესიანი, მ. ლორთქიფანიძე, ე. დონაური, ვ. ჯიქია, აკ. ხორავა, ივ. პატარიძე, დ. ჩხეიძე, აკ. ვასაძე, ალ. ახმეტელი, უშ. ჩხეიძე, თ. ჭავჭავაძე, გ. სარჩიმელიძე, გ. დავითაშვილი, პლ. კორიშელი, ბ. შავიშვილი.
1924 წ. 5 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

100. აკ. ვასაძის წერილი სოფელ რიონიდან კუკური პატარიძისადმი, ალ. ახმეტელსა და კ. მარჯანიშვიილს შორის ორი მოწმის თანდასწრებით მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, აგრეთვე კორპორანტების მიერ სხვადასხვა საქმეების წამოწყების შესახებ.
პირი: მანაველი, მიშა სარაული, კოლია ჩაგუნავა, კოტე (მარჯანიშვილი), ბერიშვილი, პ. კოროშელი, დ. ჩხეიძე, შალიკო, პლატონი, ვერიკო (ანჯაფარიძე), დოდო (ანთაძე).
1926 წ. 5 აგვისტო. რიონი. ნაბეჭდი. 2 გვ.

101. აკ. ვასაძის წერილი კუკური პატარიძისადმი, პლატონ კორიშელის მიერ შედგენილი სტენოგრაფიული ანგარიშის კ. მარჯანიშვილსა და ალ. ახმეტელს შორის შემდგარი მოლაპარაკების შესახებ.
პირი: სარჩიმელიძე, ლ. ლორთქიფანიძე, შავიშვილი, დ. ჩხეიძე, კანდელაკი, აბაშიძე, იმედაშვილი, ზარდალაშვილი, გელოვანი, ჭიაურელი (კორპორანტები), ბერიშვილი (მოწმე).
1926 წ. 6 აგვისტო. რიონი. ხელნაწერი და ნაბეჭდი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

102. ა. პოდოლსკის ღია ბარათი ალ. ახმეტელისადმი ბათუმში სტუმრობის დროს, მისდამი გამოჩენილი ყურადღების შესახებ.
1932 წ. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

103. აკ. ვასაძის წერილი ან. გლებოვისადმი. ატყობინებს, რომ ცუდი თარგმანის გამო მისი პიესების დადგმა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება და მათ მაგივრად რეპერტუარში შევიდა უკრაინელი დრამატურგის კაჩერგას პიესა „Часовик и курица".
პირი: კ. პატარიძე. ლაღიძე. ი. აბაშიძე. ე. აფხაიძე. შ. აღრაბაძე. ს. ახმეტელი.
1934 წ. ნაბეჭდის ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 2 გვ. 3 ეგზ.

104. ალა კერიმოვას წერილი ი. ჩუბარნისადმი, ალ. ახმეტელის ლექციის ჩაშლასთან დაკავშირებით.

1935 წ. ბაქო. ხელნაწერი. წითელი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

105. იუზოვსკის წერილი თამარ წულუკიძისადმი ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
1956 წ. ხელნაწერი. მწვანე მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

106. იუზოვსკის წერილი თამარ წულუკიძისადმი ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეოის შესახებ.
1956 წ. 20 აპრილი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

107. ნელი ქუთათელაძის წერილი თამარ წულუკიძისადმი, ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
1967 წ. 28 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 6 გვ.

108. უკრაინის საბჭოთა ენციკლოპედიის მეცნიერ თანამშრომლის ნ. ლაბინსკის ოფიციალური წერილი თეატრალური მუზეუმისადმი, ალ. ახმეტელის გარშემო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით.
1976 წ. 5 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

109. ნათელა ურუშაძის მიერ გაკეთებული მოკვლევა ალ. ახმეტელის საცხოვრებელი ბინის შესახებ (თელავი. სოფ. კოღოთა).
1987 წ. 7 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

110. უცნობი პირის წერილი ტასო როსტომაშვილისადმი, ალ. ახმეტელის გარშემო შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.
პირი: შალვა (ალ. ახმეტელისა და ტ. როსტომაშვილის ვაჟიშვილი). ნიკო (?).
უთარიღო. 16 მაისი. ხელნაწერი. მელანი. არასრული. 4 გვ.

111. ტასო როსტომაშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ალ. ახმეტელისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

112. ტასო როსტომაშვილის წერილი იმ პირებისადმი, რომლებიც იმჟამად ალ. ახმეტელთან კონფლიქტში იმყოფებოდნენ. (დასაწყისი აკლია)
პირი: შულიგინა. რუტოვსკი. ჯუნა. შალიკო (ალ. ახმეტელის ვაჟიშვილი).
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ. (არ გაიცემა).

113. კოტე მარჯანიშვილის მისალოცი დეპეშა რუსთაველის თეატრის კოლექტივისადმი, ახალი წარმოდგენის წარმატებით გამართვასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდის ფოტოასლი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ. 3 ეგზ.

114. სავარაუდოდ ნიკო როსტომაშვილის (ტ. როსტომაშვილის ძმა) წერილი დისადმი, უმცროსი დის ნინას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
პირი: ს. ახმეტელი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 4 გვ.